

F790/2
1909

პირველი ნაბიჯი

თბ., 1909

NN 1-2

პირველი ნაბიჯი

ალმანახი № 1

ოქტომბერი 1909 წ.

ფასი უველგან 8 კ.

F15434



† ვლადიმერ ბეჟანისძე ლორთქიფანიძე. 1872—1909 წ. მოსწავლეებთან.

ლადოს სამარესთან.

აჰა, მოსწყვიტა ბნელმა სიკვდილმა
მწირს დაობლებულს ზეცას ვარსკვლავი;
ჩვენს რაზმს მოაკლდა გმირი-მებრძოლი,
მის გულს მგზნებარეს ჰფარავს საფლავი.
ვაი, რომ იგი ველარ გვამხნევებს
და ველარც გვიკვლევს გზასა ეკლიანს;
კრემლს ვინ შეუშრობს, ვინ ანუგეშებს
მამულს დაგმობილს და ბედკრულ დლიანს?!

— „ნუ ჰგოდებ ყრმაო გავიგონე ხმა ბუჩქებიდან.
მარად თქვენთან ვარ, განუყრელად თავს დაგტრიალებთ;
თქვენის შრომითა და გულწრფელის სწავლა-ვარჯიშით
ჩემსა უხილავს, მაგრამ ერთგულს, აჩრდილს აამებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა





ჩემი აღთქმაა: შეიყვაროთ თქვენი მამული,
 მრავალ-ტანჯული, უღვთოთ მტრისგან აოხრებული.
 ერი იტანჯვის. ჩამქრალია წმინდა ლამპარი,
 ჩრდილოეთიდან მწარედ გვსუსხავს ცივი ზამთარი.

დღეს თუნდ წყვდიადმა ფრთა გაშალოს შეგხუთოთ ხული
 ნეშტრით განვგვირონ, აატირონ ტურფა ასული,—
 მაინც იმედი თქვენს ნორჩს გულში ნუ ჩანელდება:
 დამცირებული საქართველო კვლავ ამაღლდება.

5. მანშაშვალა.



მოწაფეთა გარშემო

ამ მცირე ხნის განმავლობაში საზოგადო-
 ების მოწინავე ნაწილში დაისადგურა ახალმა
 მისწრაფებამ და საკმაოდ ფრთა გაშალა. სა-
 ზოგადოების ეროვნულ-კულტურულ ფერხუ-
 ლში ჩაბმის სურვილზე მოგახსენებთ. ერთი
 მხარე ამ ლტოლვილებისა იმაში გამოინასკვის,
 რომ პოლიტიკურად დაჩაგრულ—უფუფლებო
 ქართველ ერის უფრორე დაბეჩავებულ ნაწილ-
 ში—მდაბიო ხალხში სურთ სწავლა-განათლე-
 ბის და შეგნების შეტანა. ეს მისწრაფება მარ-
 თლა, რომ ყურადღების ღირსი და აღსანი-
 შნავია, მაგრამ ამ საქმის მსვლელობის ცხო-
 მლ-მყოფელოსას ბორკავს ის, რომ მასში
 ოსწავლე-ახალგაზდობა არ ურევია.

ქართველ საზოგადოებას სოფლად სწავ-
 ლა-განათლების გავრცელებაში უაღრეს თანა-
 მშრომლობას გაუწევდა მოსწავლეობა. რო-
 გორც ვიცით, საგრძნობო უმეტესობა ქარ-
 თველ მოსწავლე-თაობისა სოფლად მოსახლე-
 ობს. აკადემიურ წლის გათავებიდან სამი თვის
 განმავლობაში ისინი სოფლად ატარებენ და
 აი, სწორედ აქ უნდა გამოვიყენოთ მათი ძალა
 და ცოდნა. თვითეულმა მოწაფემ, რომელიც
 დანტერესებულია მშობელ ერის წარმატება
 და ბედ-იღბალში, რომ მოაწყოს ზაფხულო-
 ბით თავას სოფელში სახალხო საძითხავები,
 ანბანის შესასწავლებლად უფასო სკოლები,
 გაავრცელოს მცირედაც მაინც სამეურნო ცო-
 დნა, დიდ ამაგს დასდებს და მისი ღვაწლი სა-
 შვილიშვილოთ იქნება. თითველი სამი თვე

სოფელში ამ გვარ კეთილშობიურ საქმეში გა-
 ტარებული ცხოველ-მყოფელ ნაყოფს გამოი-
 ლებს, მომაკვდავ უფერულ სოფლის სკოლებ-
 ზე მეტ კვალს დაამჩნევს და შევეციელ მფრი-
 ნავ სკოლების, ან ამერიკულ სენტლემენტე-
 ბივით დაუფასებელი შეიქნება. აუწერელია და
 დაუფასებელი კულტურულ-საზოგადოებრივი
 მნიშვნელობა მოსწავლე-ახალგაზდობის ამ წე-
 სით საზაფხულო მუშაობისა მხოლოდ იმ შემ-
 თხვევაში, თუ ამ საერო საქმეში საქარუვე-
 ლოს ყველა კუთხის ქალაქების მოწაფენი მიი-
 ლებენ მონაწილეობას. ამ საყურადღებო სა-
 კითხს სხვიმისაც დავბრუნდებით, ახლა კი
 იმით დავათავებთ, რომ ამ საქმის მოწყობას
 და საგრძნობელ ნაყოფიერებას ხანგრძლივი
 მოფიქრება, წინასწარ გეგმის დახაზვა და ყვე-
 ლა ეროვნულ ნაპერწკლით ანთილ ახალგაზ-
 დთა იდეურ ერთობის გამტკიცება ესაქირო-
 ება.

ზეით განმარტებულ სახულისხმეირო საგ-
 ნის აღნუსყვა არა უცაბედია, მას რეალური
 საფუძველიც აქვს. აი რაშია საქმე: რამდენიმე
 ხნის წინ თბილისში შესდგა ქართველ მოს-
 წავლეთა მცირე წრე, რომლის სამოქმედო დე-
 და-ძარღვს შეადგენდა აკადემიურ წლის და-
 ლევისა სოფლად კულტურულ-მოღვაწეობის
 დაწყება. ამ მიზნით წრემ შეიძინა სამოსწავლო
 ნივთები და თითქმის საქართველოს ყველა
 კუთხის სოფლებში, მაგალითებრ, ქართლს,
 კახეთს, სამეგრელოს, რაჭას,—გაიხსნა უფასო
 სკოლები, რომლებშიც ერთა რიცხვით 200



სულამდი მაცადინებოდა; ვინც სწავლას ისუ-
რებდა სამოსწავლო ნივთებიც უსასყიდლოთ
ეთმობოდა. ერთ ასეთ სკოლაში მარტო ქარ-
თულ ანბანის სწავლით არ დაკმაყოფილდნ
ინიციატორნი და ნამდილი სკოლა დაარსეს,
სადაც გარდა ქართულისა ისწავლებოდა ან-
გარიში, ქართული საელესიო, თუ საერო გა-
ლობა, შაბათობით სახალხო კითხვა... საქმის
სათავეში ამ სკოლას ედგა ც. ასული. ეს და-
ულალავი ახალგაზდა აღტაცებით მიამბობდა
სოფლად სწავლა-განათლების გაღვიძების სურ-
ვილზე და თავის უფასო სკოლაში სწავ-
ლების კარგად დამკვიდრებაზე. მან მარიამო-
ბისთვის მიწურულს შეათავა გასავლელი პრო-
გრამა და თბილისს წამოვიდა; შემდეგ გაზაფ-
ხულშიც ისევ აპირებს კვლავინდელ მოქმედე-
ბას. სხვებმაც იგივე გადმოქცვეს. ამ ზაფხულს
მცირე წრემ შესძლო სოფლად 200 წერა-კით-
ხვის სწავლება. სასურველად მიმაჩნია ც. ნაამ
ბობი.

— სოფელში უმწვერვალესამდეა მისული
კოდნის შეძენის სურვილი, მაგრამ რაც აღსა-
ნიშნავია, ქართულის შესწავლას სასოებით ეს-
წრაფიან. პირველად რომ გამოვაცხადე წირ-
ვის შემდეგ საყდარში, რომ მსურველს უფა-
სოთ ვასწავლი წიგნს, თანაც მუქთად სამოს-
წავლო ნივთებს ვურიგებ, არ დაიჯერეს და
მოტყუებდად ჩასთვალეს. ჯეჟ ორიოდემ განაც-
ხადა სურვილი, სხვებმაც რა დაინახეს პირ-
ველთ საქციელი, შიში სწავლის ფასის ძალად
გადახდაზე გაექარვათ და მათაც იწყეს მაცა-
დინაობა; რიცხვი მოსწავლეთა 30 ავიდა ჩვენ
მიერ შედგენილი მომღერალთა გუნდი გლე-
ხის ბაჟშეებიდან კვირაობით ეკლესიაში გა-
ლობდა, რაც მეტად ახარებდა სოფლელებს.
ბოლოს და ბოლოს გლეხ-კაცები ისეთ ნდო-
ბით აღიჭურვენ, რომ ჩვენ ღმერთს ფიცულო-
ბდნენ და გამოგვიტყდნ უნდობლობის მიზე-
ზებშიც. თურმე იმათ ეშინოდათ, სწავლის
ფულს ეგზეკუციით აიღებენო.

აქ მოყვანილი სიტყვები ნათელს ყოფს
ერთის მხრივ, თუ რა მოწადინებული არიან
სოფლელნი კოდნის შეძენაში, მაგრამ ბო-
ლო ხნის სუსხის ზეგავლენით რა უნდობლად

ეპყრობიან იმათაც, ვინც გულწრფელად მო-
წადინებულია მათ სასარგელოთ იმოღვაწოს,
მეორე მხრივ, თუ მცირე წრემ 200 კაცს შე-
ასწავლა კითხვა, და ხელი შეუწყო მათში
გონებრივ ინტერესების გაღრმავებას, რა იქნე-
ბოდა ერთი კი, არა ოცობით დაარსდეს საქარ-
თველოს ყველა კუთხეში ასეთი წრეები!
ამით მოსწავლეობა ორ დიდ საქმეს შეასრუ-
ლებს: ჯერ არის და წერა-კითხვის გაავრცე-
ლებს უმეცართა შორის, მერეა და სოფლე-
ლელს გაუქარწყლებს ინტელიგენციის მიმართ
უნდობლობას და ჩაუნერგავს რწმენას, რომ მო-
იპოვებიან, რომელნიც მათზე გულწრფელად
ზრუნავენ. ამის შეგნება კი ამჟამად მეტად სა-
ჭიროა.

ფიქრთა დენამ ისე შორს წარგვიტაცა,
რომ მოსწავლე-ახალგაზდობას თავის მაული-
შვილურ მოვალეობის განხორციელება დავა-
კუთნეთ, ის კი არ მივიღეთ მსედველობაში,
თუ რამდენად შესაძლებელია ამისთვის ამის
ასრულება; ან და, ეროვნული იდეა, მშობელ
ერის წინაზე სამსახურის შეგნება საკმაოდ მო-
მწიფებულია მასში. აქ წამოყენებული კითხვე-
ბი მეტად რთული და ძნელად გადასაწყვეტია.
ამისდა მიუხედავად, შეგვიძლია დაბეჯითებით
ვთქვათ, რომ ქართველ მოსწავლეთა მოწინავე
ნაწილში საგრძნობლად ღრმად აქვს ფესვი
გადგმული ეროვნულ გრძნობას, და ლტოლ-
ვილ სამშობლოს საკეთილ-დღეოდ მოქმედები-
სას თუ არა და, განა წარმოსადგენია, რომ
მასში არ ჩასახული ეროვნული ნაკადული,
როდესაც მის თვალწინ ქართველი ერის სრუ-
ლი დამონავება, ფეხქვეშ გათიშვა, ხდებოდა
როდესაც იდევენებოდა მცირე ნასახიც კი
შემოქმედებისა. ქართული ენა ძალღურ
ენად იხსენიებო და, ყველაფერი მშობლიური
ძირიან-ფესვიანად იღვხვრებოდა!. ყველაზე მო-
აწერილ სამწუხარო მოვლენათა მუდმივ ხილ-
ვით, მასში ღრმად ისახებოდა პრინციპი
მამულიშვილობისა და სურვილი მის სანაცვა-
ლოდ მსგვერბლად შეწირვის მე იმის მტკი-
ცებას არ შევუდგები ყველა ქართველი მოწაფე
ერთობრივ ასეთი იყოს, მაგრამ ვისაც ვგული-



საქართველოს
საქართველოს

სხმობ მათი რიცხვიც საგულისხმეოა აქიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ რომ სიყვარული ყველაფერ მშობლიურისადმი არ ჩაფერფლილა ბევრ ქართველ ახალგაზდაში და ხალხის სამსახურს თავდავიწყებით შეუდგებიან. სურვილი თვით მოქმედებისა სარგებლობის მოტანისა აუწერელია, მაგრამ საქმეს შეაფერხებს მეორე მხარე—თეორეტიული მოუმზადებლობა რაღა თქმა უნდა, რომ ბიუროკრატიულ მონაპკურ მთავრობის გომნაზიებში და სასწავლებლებში ვერავითარ საამისო ცოდნას შეიძენენ, გარდასულიერ გადაგვარების და დეგენერატობის, ისე რომ, დღევანდელი სკოლა ოფიციალურ ცოდნის მეტს არას იძლევა, რისგამოც მოსწავლეობამ სკოლის გარეშე უნდა გამოძებნოს საშვალეხანი საჭირო ცოდნის და განვითარების მოსაპოვებლად. ამ სახით თვითველ სასწავლებლებელში საჭიროა შეიკრას წრეები, რომლის გიზანი იქნება მეცნიერების თვითველ დარბის გაცნობა, განსაკუთრებით კი მშობლიურ ისტორიის, მწერლობის შესწავლა, ამ წრეებში უნდა იკითხებოდეს რეფერატები, მოხსენებები, დარსდეს ხელნაწერი ჟურნალი, რომლის ფურცლებზეც აღიძვრის საჭირობოროტო კითხვები და გაჩაღდება აზრთა შეჯახება. ამ გვარი გონებრივი მუშაობა ცხოველყოფელ ნაყოფს გამოიღებს და შეძლებას მისცემს მოწაფეს შეიმუშაოს განსაზღვრულ მსოფლხედველობა, შეადგინოს წარუბოცელი აზრი საქართველოს აწინდელ და ყოფილ ჩოფა-ცხოვრებაზე, რითაც საშუალება მიეცემა უფრო ნაყოფით სოფლად მოქმედებას.

ყოველ დაბეჩავებულ ეროვნების ახალგაზდათა შორის მოიპოვება ერთგვარი ნაწილი რომელიც სულიერ ძაფს სწყვეტს თანამემამულეებთან და გადაგვარების გზას ადგება. ეს მოვლენა გულდასაწვაფი და ჩამაფიქრებელია მით უმეტეს, რომ იგივე გადაგვარებას აქვს ალაგი ქართველ მოწაფეთა შორისაც, ამ მოვლენას საგულისხმეოა ყურადღება უნდა მიექციონ შეგნებულ ამხანაგებმა, ვინაიდან მართო მათ აქვთ საშუალება მოლიბულ გზაზე მდგომ ახალგაზდათა გამობრუნებისა.

აქაც გამასწორებელ იარაღად მოწაფეთა წრეები უნდა გამოვიდნენ; მათ შესწეთ ზნეობრივი ზეგავლენა იქონიონ. ასწავლონ წერა-კითხვა, თუ უკანასკნელეებმა ექ არ იციან, გააცნონ მშობლიური სიტყვიერი საუნჯენი და შთაგანება, წაგვებით განუცხოველონ ჩაფერფლილი ეროვნული გრძობა. გადაგვარების გზაზე მდგომ ამხანაგების გასწორებას სოფლად მაცადინეობაზე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს. მეტადრე პროვინციელ შეგნებულ მოსწავლეთ მართებთ ამის მოწესრიგება, ვინაიდან გადაგვარების მოჭრფიალენი იქაც საკმაოდ მოიპოვებიან! აი რას გვწერდა ბათუმელი ამხანაგი—ადგილობრივ კლასიკური გიმნაზიიდან მოიპოვებიან ერთგვარი ვაჭბატონები, რომელთაც არამც თუ ქართულ წიგნის რამე გაეგებათ, ქართული ლაპარაკიც არ ეხერხებათ. ისინი სამშობლო ენის არ ცოდნას ამით ასაბუთებენ, რომ ქართული ენა ცხოვრებაში გამოუსადეგარია, მის მაგიერობას რუსული გასწევსო, რაც შეეხება მშობლიურ მწერლობის გაცნობას, არ ღირს ვინაიდან საყურადღებო არაფერი მოიპოვებაო.

რა არის ეს თუ არი ტიპიური გადაგვარება. ეროვნული მოღალატეობა! ბათუმში რომ წრე არსებობდეს, ის გაავებინებდა იმ უბადრუკთ, რომ თუ ვინმე იამაყებს განვლილ საზოგადოებრივ ცხოვრების სიმდიდრით, მწერლობით ჩვენც შეგვიძლია იგივე ვქნათ. დიხ, მეტად საჭიროა თვით განვითარების მიზნით წრეების დაარსება, რომელიც მოქალაქობრიობას და მამულიშვილობას ჩაუნერგავს თვითველ ქართველ მოწაფეს.

დამამუშავებელი წარმოება პირვანდელ ყოფაშია საქართველოში, მიუხედავთ ის საგულისხმო მოვლენისა, რომ ჩვენი სამშობლო თვალწარმტაცელი თაიგულია ძვირფას ნივთიერებათა, ზოგი ქართველ გულშემატკივარი უცნაურობის დედა-ძარღვს ხედიდა იმაში, რომ არ მოგვეპოვება სპეციალურ ცოდნით განსწავლული თანამემამულენი, რომელთაც სამთო ან სამეურნო საქმე იცოდენ და შეუდგენ ექსპლოტაციას. როგორც კითხველს მოე-



ხსენება, სპეციალური ფონდიც კი დაარსდა იმ ახალგაზდათ, დასახმარებლად, რომელნიც მოიწადინებდნენ სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში გამგზავრებას. ფონდის დარსება რამდენად წინ წასწევს დამამუშავებელ წარმოების აყვავებას ჩვენში ამის კვლევა-ძიებას არ შევეუდგები, მარტო ავღნიშნავ, რომ ბოლო ბევრი ქართველი ახალგაზდა გაემგზავრა სპეციალურ ინსტიტუტებში, რუსეთს და საზღვარგარედ: ექვს გარეშეა, მალე საკუთარი რიცხმრავალი ინჟინერები გვეყოლება. დავინახავთ რამდენათ ხელს შეუწყობს საქართველოში მრეწველობის აყვავებას.

— არა ნაკლების, თუარ უარესი ყურადღების ღირსია ის მოვლენა, რომ ჩვენ ახალგაზდობაში დაისადგურა აზრმა ეროვნულ სიტყვიერების, თუ წარსულის ზედმიწევნით შესწავლისა. მით უმეტეს საყურადღებოა ეს რომ ჩვენი ასეთი ერთობ ნაკლები გვეყანან რის გამოც ბევრი ალაგი ქართული ისტორიისი ბურუსით მოკულია და გამომკვლეველი ნაკლებად მოგვებოვება. მეცნიერულ გამომკვლევანი და სერიოზიული წიგნები ჩვენ წარსულ-აწმყოზე, ეს ახალგაზდანი აღმოსავლეთის ენების ნაწილზე ეწესებიან. ვუსურებთ მათ შეუწყვეტელ, ცხოველყოფელ ნაყოფიერ მუშაობას.

საქმი სავიდამი

(მეწაფეთა ცხოვრებიდან).

თბილისის უმათვრეს ქუჩაზე ხალხი ირევა. რამდენიმე გიმნაზიელი სდგას დიდ მაღაზიის ახლოს ზურგშექცეული.

— ბიჭო, ვალოდია, დღეს მართლა სახლიდან ფული მოგივიდა!?—ეკითხება ერთი ვალოდიას.

— ოჰ, მომივიდა, მაგრამ რა...—ველარ დაათავა.

— რა, მაგრამ რა?! — მოუთმენლად შეეკითხნენ ვალოდიას თითქმის ერთხმად.

— რა და ის, რომ გიმნაზიაში შესატა-

ნად გამომიგზავნეს სწავლის ფული და სულ არაფერი მრჩება, — თითქმით დარცხვენით განმარტა ვალოდია.

— ეჰ, სულელი არ იყო, იმ დღეს, რომ ვიქეიფეთ, ჩემი სწავლის ფული არ იყო?! — იერიშის მიტანით უთხრა გაბრუშამ.

— რის სწავლის ფული, რა სწავლის ფული! იმათ, რომ სვინდისი ჰქონდეთ, არც კი უნდა გამოგართვან: კვირაში ერთხელაც არ მიდინხარ გიმნაზიაში, — ძვერი დაუკრა გაბრუშას იერიშს მიხაკომ.

— წამო, ვალოდიაჯან, ერთი ლაზათიანად გავწეწოთ ეგ წითელი თუმნიანები სი სინოს დუდუკზედ. — ნერწყვ მორვეით დაიწყო ახლა სხვამ.

— დგომა არ შეიძლება, — რიხიანათ შე მოუძახა პოლიციელმა ჩვენ ნაცნობთ.

— წამო წავიდეთ; ამის რჯულიც დაიქცეს, — დაეთანხმა ვალოდია და გასწიეს...

დილის რვა საათზედ ორი გიმნაზიელი ქუჩაში ერთმანეთს შეხვდებიან.

— გაიგე, კოლია, რა ოინი მომივიდა? — არა, რა ოინი? დაეკითხა კოლია თანამოსაუბრეს დაფიქრებული.

— რალა რა, წუხელ ბილიარდში ალექსანდრ სტებანიჩთან 15 მ. არ წავაგე?

— თუ ღმერთი გწამს, მართლა? როგორ?

— როგორ და ეგორ ნიკოლაევიჩი გადამეკიდა „ზადნი ხოდი“ — ჩააგდეო, მეც, სულელმა, დაუჯერა და წავაგე კი.

— ჰკვა სადა გქონდა, მართლაც შე სულელი, ი „პუზატმა“ — როგორ მოგიგო?

— რას ლაპარაკობ, ეგებ შენ გადუხადო მაგიერი, შენ იმედზე ვარ.

— მერე გიმნაზიაში არ უნდა წავიდე?

— ეჰ, შენც დაიწყებ, რა დროს გიმნაზიაა, კაცსა სისხლი მიშრება, წავიდეთ ჩქარა, ჯერ კიდევ იქ არიან.

— მაშ, წამო, წავიდეთ, წიგნები ავეტიქას ბუფეტში მივაბაროთ, წავიდეთ!



— ილიკო, პალტო გაჰყიდე?
— გაყიდვით კი გაჰყიდე, მაგრამ არ მე-
ყოფა, სულ 6 მ. 50 კ. არის.

— არა, ტუტუცო, 25 მანეთიანი პალ-
ტო 6 მ. 50 კ.-ზე მეტი არა ღირს?

— ვიცი მეტი ღირს და ახლა ზოგი იარ-
მუკაში იკითხე, ორი მანათიდან დამიწყეს.

— მერე რისთვის გინდათ ეგ ფული?—
დეკითხა ორივეს საშა.

— მართალი გითხრათ, ქეიფის გუნება-
ზედ ვართ და საქეიფოდ გვინდა ფული, 5 მ.
მე მაქვს, 6მ 50 კ. ილიკოს უშოვია, ეს 11 მ.
50 კ. თუ ერთი 8—9 მ. შენ დაუმატებ, ჩე-
მო საშა, **ВЫЙДЕТЬ** ლაზათ!—აუხსნა საქმის
მდგომარეობა ფედკამ.

— 8—9 მ კი არა—15 მ.—ცა მაქვს,
სახლის პატრონს არ მივცემ რა,, მე ვიცი მა-
მულები არ ამიწეროს,—სთქვა საშამ.

— მაშ რაღას უყურებ, შე ყურუმსალო,
წავიდეთ რაღა; ორთაქალაში ერთი ტანიას-
თან მაზურკა „ვიტანცაო,“ აღარ აცლიდა
ფედკა.

— წავიდეთ და წავიდეთ, შენ თუ ტა-
ნიასთან, მე ვეროჩკასთან „ვიტანცავებ,“—
წამოიძახა სხაპა-სხუპით საშამ.

— ფაიტონ! ორთაქალაში გოგოებთან
რა ეშხით ვიმღერო მე და ჟენია „**ПОСЛЕДНИЙ**
НАНЬШИЙ ДЕНЕЧЕКЪ—ს წამო, წავიდეთ, რა-
ღას უყურებთ,—აღტაცებით ბურღლუნებდა,
ილიკო.

ვ. თამროშვილი.

თელავი

ტკბილი ძილითა სძინავს თელავსა...
არვინ ხმაურობს, არც სჩქეფს მდინარე
და იდუმალი ფიქრთა ლეწინით *)
გარემოცულთა მთვლენავი მხარე.
მარტო მე ვდგევარ ნანგრევთა შორის.
სდუმან პალატნი ბნელით მოცულნი,
მათ შორის მოსჩანს მეფე ირაკლის

*) ატეხილი, ყრუ ტყე.

სრა—სასახლენი დაობლებულნი,
ვით მოქანცული ტრფობითა ქალი,
მთვარე ღრუბლებში მიიპარება,
ხან გაანათებს ბნელ არე-მარეს
და ხან კვლავ ღრუბლებსა შეეფარება.
ვით კაბადონი ღრუბლით მოცული,
ჩემი გულიცა მოღრუბლულია,
ლამის მბაძავი, იგი მდუმარე,
შავი ფიქრებით დაბურულია...
აი თელავი; ქართველთა ბედის
აქ არს სამარე... ჩვენი თელავი!
მას ადვილს ვდგევარ სადაც ჩავვიქრა
ივერიელთა ბუდის ვაწსკლავი.
თელავის არევი! მითხარ, მითხარი
ამ შენს გალავნის მწვანე ეზოში
ოდენ უვლია ფიქრებით სავსეს
მეფე ირაკლის თვის მწუხარ დროში?
მითხარ. რავდენი ფიქრი შობილა
აქა ივერთა საბედნიეროთ.
და რაოდენი ცრემლი დაღვრილა
უბედო ერის საბედის წეროთ?
დიდნო პალატნო! თქვენ ხომ გსმენიათ
მეფის მოლხენა და მწუხარება
და რათ არ ძალგდით იმ წარსულ ჟამთა
საიდუმლოთა აწ გადმოცემა?...
მაგრამა სდუმან ციხე-პალატნი,
შთანთქმულნი ღრუბელთ შავს აჩრდილებში.
შავი ღრუბლებით გამოკრთა მთვარე
და დააფრქვია შუქი მინდვრებში.
გამოჩნდენ ირგვლივ ციხე-დარბაზნი
მარად მდუმარნი და მოწყენილნი;
აქ-იქ მოსჩანან კედელთ ნანგრევნი
და მათგან ჯვარნი ძიხს გადმოყრილნი...
ციხე-დარბაზნო, ვერანათ ქმინლნო!
სიობლე ვაჰ, რა ძნელი ყოფილა,
სიობლის დაღი, დაღრეჯილობა
თქვენს სქელ კედლებზე დრმათ აღბეჭდილა
მახსოვს თქვენს ძალას ამაყს, რისხვიანს,
მტერი შორიდან ერიდებოდა,
მეფე ირაკლი, ღმერთი ბრძოლისა,
მაშინ თქვენ შორის იმყოფებოდა.
აწ კი ნანგრევთა გარდაქცეულნო,
გავერანებულ დაობლებულნი
და მოწყენილნი უცხოთა ხელში.



მწარე ფიქრები

საბრალოთ სდუმხართ ახავსებულნი.
 ოდესმე შვება-სიცოცხლით სავსე
 თქვენ ოთახების ქარაგმნილ ზღუდეს,
 დღეს გველ-ბაყაყნი იფარვენ თავსა
 და ქსუ ღამურა იკეთებს ბუდეს..
 თქვენ კედელთ შორის იგლოვა ბედმა,
 აქ დაიღვარა ცრემლი დამწველი,—
 მის ადგილს ვდგევარ ფიქრით მშფოთარე,
 სადაც გაგვიქრა ქართველთ სანთელი,
 სადაც შეაბედათ, სამუდამ-ჟამოთ
 ერეკლე მეფემ დახუჭა თვალი,
 და ჩაესვენა საქართველოსი
 მზე სხივოსანი, სიცოცხლის ძალი!..
 ამ დროს მოკურდა მშვიდი ღრუბელი
 და ველზე ცრემლი მშვიდათ დაღვარა,
 მეც მას მიკბამე მწარეთ მტირალსა.
 მთვარეც კი ღრუბლებს ღრმათ შეეფარა!

ა. მჭედლაშვილი



სამშობლოს მტრებს.

სამშობლოს მტერნო, ძრწოდეთ! იღვიძებს
 საუკუნებია მძინარე ერი;
 ცბიერობით თვალს ველარ აუხვევთ,
 იცნობს ვინცაა მის მოყვრე—მტერი.

მაგ თქვენს საზიზღარს თარეშს მის ზრგზე
 ველარ მოითმენს, წინ აღუდგება,
 და სამარცხვინო უღელს კისრიდან
 ჩამოიგდებს და ზე-ამაღლდება.

იგი ამაყი, თავისუფალი,
 არც ვისი მონა, არც ვის მჩაგვრელი,
 დაიწყებს ახალს ცხოვრებას დიადს
 და აყვავდება დიდ-ჭირთ მნახველი.

მაშინ მის სახეს გასხივოსნებულს
 თქვენს მრუდე თვალსა ვერ გაუსწორებთ
 და ვერც თქვენ გველურ სისინით, შხამით
 წელ-გასწორებულს ვერას დააკლებთ.

ძრწოდეთ!.. ელოდეთ დღეს განკითხვისას
 განა ვერ ატყობთ—გიახლოვდებათ?
 მაშ მოუმატეთ თქვენს შურს და მტრობას,
 უფრო მრისხანედ მოგვევლინებათ.

გ. კვ—შვილი.

გულს კაეშანი მედება, ყველა ნათელი
 აზრები მიქრება, როცა ჩვენს მდგომარეობას
 ვუკვირდები. რა ვართ? რანი ვიყავით? რანი
 უნდა ვიყოთ, „აი საკითხი ყველაზედ მწველი.“
 საკითხი მით უფრო გულსაკლავი, რამდენა-
 დაც ვაკვირდები ცხოვრებას! ყველგან გადა-
 გვარება, ყველგან ავადმყოფური ინდეფერენ-
 ტიზმი. რას წარმოადგენს ჩვენი მოსწავლე
 ახალგაზდობა. ჩვენი მომავლის იმედი, ახალ-
 გაზდობა რომელმაც ჩვენი აწმყო უნდა გაუმ-
 ჯობესოს, გადააკეთოს? სანუგეშოს არაფერს.
 ასის წლის მონობამ დიდი ნაყოფი გამოიღო:
 გადავვარდით, გადავვარდით ძვალიდან რბი-
 ლამდის, გადავვარდით ფიზიკურადაც კი,
 წარმოიდგინეთ. იმდენად გადავვარდით, რომ
 ვერცკი ვგრძნობთ ჩვენს მონურ მდგომარეო-
 ბას, ვერც კი შეგვიგნია რა განსაცდელში
 ვვარდებით, რა მოგველის. არსად შეგნება,
 არსით ძახილი! დეგენერაცია მოგვბდა ჩვენც,
 მოსწავლე ახალგაზდობას, ჩვენ, გადაგვარების
 აგენტებს! მოსწავლე ახალგაზდობა ტიპია გა-
 დაგვარებულ ქართველისა. რა სამშობლო, რის
 ერი, ეროვნება, გაიძახის ის! ან კი რა მოეთ-
 ხოვება იმ ადამიანს, რომელმაც თვისი ენა
 დაჰკარგა და პირუტყვივით საცოდავად ღმუ-
 ის! ნეტა სხვისა მაინც იცოდეს! რის მაქნისია,
 რა სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ხალხს
 იმ „ინტელიგენტმა,“ რომელიც თავისს ერს
 არ იცნობს და ერი მას! რა ენაზედ უნდა
 ელაპარაკოს მას? და თუნდაც რომ ილაპარა-
 კოს, რა უნდა უთხრას, როცა მისი ინტერე-
 სებისა არა გაეგება რა? უცხოეთის მწერლები
 გაზებირებული აქვს, მაგრამ ქართულად რომ
 რამე იცოდეს, ღმერთმა დაიფაროს! გული
 გიკვდება ადამიანს, როცა რომელიმე მოწაფეს
 ხედავ, რომელიც რაღაცას ლულლულებს და
 ვერა უთქვამსრა! გული გიწუხს, როცა ხედავ
 მოსწავლე ახალგაზდობის მშობლიურ ნიადა-
 გისგან თან-და-თან დაშორებას. მიდიან, მი-
 დიან სადღაც და ღმერთმა იცის დაბრუნდე-



ბიან თუ არა ოდესმე? იმდენად გადავგვარდით, რომ ყველაფერი უკუღმა გვესმის. შავი ფიქრები ყორონივით თავს დატრიალებენ, როცა რომელიმე გადაგვარებულ მოწაფისაგან გვესმის: ეროვნულ გრძობის ნიადაგის გამტკიცების, ერისგათვის ცნობიერების სამსახური ძალიან ვიწრო ფარგალია სამოქმედოთო! ოპრა საქმის ადამიანი არიან! თუ ერს ემსახურები, მაშასადამე შენ ხელს უწყობ მასში მყოფ ინდივიდების განვითარებას და თვით შენი თავის განვითარებასაც. ფილოსოფიაში ხომ ორი ინდივიდი არის ცნობილი: ერი და პიროვნება.. თუ ერი განვითარებულია, თუ ერი კულტურულად მაღლა დგას, მაშ მისი შემადგენელი ინდივიდებიც, განვითარებული და კულტუროსანიანია! და თუ ყველა ერი კულტუროსანიანია, როგორც მატერიალურის ისე სულიერ მხრივ, თუ იგი განვითარებულია, მაშინ კაცობრიობაც მიუახლოვდება თვის იდეალს, თვის კეთილ-დღეობის ხანას! მაშ ვიწროა ეროვნულ ნიადაგზედ შრომა? დიად ვიწროა, ვიწროა მხოლოდ ჩვენისთანა ფიზიკურად და ზნეობრივად გადაგვარებულთათვის! ქართველ მოსწავლესათვის ეროვნულ ნიადაგზედ მოქმედება ვიწრო ფარგალში მომწყვედევია, ის თავისუფალია, ის არ განიცდის ეროვნულ ჩაგვრას! ის იმდენად შეეჩვია მონობის უღელს, რომ, ვიმეორებ. ვერც კი გრძობს აშას და გულგრილათ ჯიბეში ხელი ჩაუყვია და მსჯელობს: „о Байронѣ и о матеріяхъ высшихъ.“ ერი სულს დაფავს, ერს დახმარება ეჭირვება! აი ძახილი. ამ ძახილს არავინ ეხმაურება. და ჩვენ ვიზრდებით ისევ მოხელეებად. ხალხი გვზრდის მხოლოდ იმიტომ, რომ მერე მასვე დავაწვეთ მძიმე ტვირთად. ის ჩვენზედ ფულს ხარჯავს და ჩვენ კი ჩვენი აღზრდის შრომის მესხედ ნაწილსაც ვერ ვუბრუნებთ. ბრმანი ვართ, ბრმანი და მგონი ბრმანიც ვიქნებით! მაგრამ როდემდის? რომ დავვიანდეს?

ქ. დაჭ—შვილია.



მეკობრის სამარე.


(ვუძ. ვასილ ჯავროვის ხსოვნას)

Дохнула буря, цвѣтъ прекрасный
 Увяль на утренней зарѣ,
 Потухъ огонь на алтарѣ!
 А Пушкинъ

აი სამარე, რომელიც დიდხანს ვალად მადებდა აქ მოსვლას ნახვას, რომლის სვე-ბედის გახსენებაზე შხამი ერთვოდა ყოველგვარ ზრახვას თვალ-წინ მიდგება მისი ბუნება ტკბილ იმედებით აღფროვნებული „სიცოცხლის ნიჭი იმის თვალეში მწველ ნაკვერჩხლებათ სჩნდა ანთებული“ მახსოვს ნეტარს დროს დიდ მომავლისკენ ერთად ვიდოდით ხელ ჩართულები მძლავრთ უკმეზობის წინააღმდეგა საერიშოთ გამოსულები. მაგრამ მცირე ხნის აღმოჩნდა ის დრო მძლავრათ დაჰბერა ვნებისა ქარმა და იმედებით აღსავსე გული უღვთოდ გაგმირა მისმა ლახვარმა. უკანასკნელ ჟამს ზიზლით შეხვდა ყრმამ მოქუშულსა მგრგვინავ ზეცასა. და ისე მოკვდა... არ შეუერთა თვისი ჩივილი ქრისტეს კვნესასა.

დ. თურდალსმარედა

გოგია.



ქართლის დედაო! ძუძუ ქართლისა
 უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა,
 დედის ნანასთან ქეთინი მთისა
 მას უმზადებდა მომავალს გმირსა.
 ილია.

გამხდარი და სუსტი თორმეტ-ცამეტი წლის გოგია მამის წინ იდგა თავჩაღუნული და მოკრძალებით მოელოდა თავის მსჯავრს. გოგიას მამას კვლავინდელზე უარესად ჰქონდა შუბლი შეკრული, ხელში შვილის „მოწმობა“ ეჭირა და მოლუშული ჩაჰყურებდა



შიგ, მოწმობა „ორიანებით“ იყო გაქრნლებული. მამა ტუჩებს იკნეტდა და ჰფიქრობდა:

— რა უნდა უყო ამ საძაგელს? დავსაჯო? არ ივარგებს: გოგია უიმისოდაც სუსტია. მასწავლებელს ვერ დაუქერ: შეძლება არა მაქვს! მე არ შემიძლიან ვასწავლო: არც დრო-მაქვს მაგისთვის არჯ ნიჭი... ბაშვის აღზრდა დედის საქმეა!..

ბოლოს გაჯავრებით მიუგდო შვილს მოწმობა:

— მომშორდი, უმაქნისო!

გოგიამ აიღო გადაგდებული ქალაღი და გატრიალდა. კრემლები ყელში ადგა, აღრჩობდა, მაგრამ ვერ ეტირნა... მხოლოდ მაშინ ამოუშვა ქვითინი, როცა დედამ გულში ჩაიკრა.

— ნუ სტირი, — ამშვიდებდა დედა, — დღე ის შემდეგ კარგად ისწავლი: მეც მოგეშველები.

დედო პატარაობიდანვე ზრდიდა გოგიას როკორც კი შეეძლო; ასწავლიდა რაც კი იცოდა.

პაწია უსუსური გოგია დედის ტკბილ ნანას ყურს რომ მოჰკრავდა, მსწრაფლ თავს ანებებდა ტირილს ან ჟღარუნებით თამაშობას და უაზროდ აშტერდებოდა ერთს ალაგს, თითქოს საოცნებო სიმღერას ყურს უგდებო...
როცა შვილი ცოტა წამოეზარდა, დედამ წერა-კითხვა და ცოტაოდენი ანგარიში შეასწავლა.

გოგიას არაფერი უჭირდებოდა, ყველაფერს ადვილად და ხალისით ითვისებდა. დედას უნდოდა ბავშვისთვის გონება გაეხსნა, ამიტომ შეიძინა საბავშვო წიგნები და ყოველდღეს უკითხავდა შვილს, თან თავის გაგონილ და წაკითხულ ამბებს მოუთხრობდა ხოლმე.

სულ-განაბული უსმენდა გოგია დედას. სახე ხან აღტაცებით უბრწყინავდა, ხან ბრაზით ენთებოდა. ხშირად ღრმად ჩაფიქრებულ გოგიას პაწია შუბლი დიდი კაცივით შეეკვროდა ხოლმე: ამ დროს ის სადღაც შორს გაიკვირებოდა, ვინ იცის სად!..

წიგნების კითხვამ უფრო მეტად შეაყვარა

გოგიას დედა და მისი იაენანა: ძარგად იცოდა „იაენანამ რა ჰქმნა“.

დედისაგან გოგიამ გაიცნო თავისი სამშობლოს გმირები, უზომოდ შეუყვარდა ისინი და შორიდან თავყვანსა სცემდა. თითონაც მზად იყო მამულისთვის ზურაბივით ან თევდორე მღვდელივით თავი დაედო.

დედის მოთხრობით გატაცებულ გოგიას აგერ თითქოს ცხადათ ესმის გარედან ჯარის ხმა ხალხის მზიარული კიჟინა და სიმღერა:

„ქართველო ხელი ხმაღს იკარ,

დღე გათენდა დიდებისა,

თოფ-იარაღი აისხი

დრო მოდის გამარჯვებისა...“

გოგია — „კიაზო“ დედას გულში ეკვრის, ჰკოცნის, ეთხოვება და მტერთან საომრად მიდის!.. გაცხარებული ბრძოლა. გოგია — „თედო“ და მისი დედა — „შავ-ცხენიანი მხედარი“, ხმაღ-ამოწვდილნი, ელვასავით დაჰქრიან ბრძოლის ველზე სამშობლოსთვის თავ-განწირვით იბრძვიან და საზიზღარ მტერს თავზარსა სცემენ.

რა ხანია გოგია სასწავლებელში მიაბარეს. წინად დედა შველიდა სწავლაში, ახლა კი ძველებურად ვედარ ეხმარება: გოგიას პატარა და-ძმას მოვლა აღზრდას უნდებო. პაწია ლეოს იაენანას უმღერის, ქეთოს კი წიგნებს უკითხავს.

გოგია ახლა თვითონ ჰკითხულობს წიგნებს. რასაც კი მოასწრებს წაუკითხავს არ გაუშვებს, მაგრამ „სწავლა“ სრულიადაც არ უყვარს, სასწავლო წიგნები ჰირივით ეჯავრება; ისინი მხოლოდ ხელს უცარავენ სხვა წიგნების კითხვაში; დიდი ხანია მასწავლებელნი ყურადღებას აღარ აქცევენ: ყველა უნიჭოდ და უმაქნისოდ რაცხავს. მხოლოდ ქართული ენის მასწავლებელი ათასში ერთხელ თუ ჰკითხავს რამეს

მისი მეგობარი ლიყიანი სანდრო ამაყად უცქერის გოგიას. დიდაც! ის თითქმის პირველ მოწაფედ ითვლება კლასში. მამა მისი შეძლებული კაცია; სანდროს საკუთარი მასწავლებელიცა ჰყავს სახლში.



— ბ-ნი პეტრე ყველაფერს მასწავლის, იკვებდა ხშირად ლიციანი სანდრო: ყოველდღე ხმა-მალლა მაკითხებს წიგნებს ენის გასასწორებლად, ხატვასაც მასწავლის, ხატვის ნიჭი გაქვსო. სანდო მართლაც ყველაზე კარგად ჰხატავდა კლასში.

— ბ-ნი პეტრე რომ არ იყოს, განა დედა კი ვერ გასწავლის?—ჰკითხა ერთხელ გოგამ.

— რას ამბობ, ტუტუცო!—გაიკვირვა სანდრომ, დედაჩემი მასწავლებელი ხომ არ არის!

აგერ გოგია კლასში ზის, მასწავლებელი რაღასაც ეკითხება მოწაფეებს, ისინი ერთს და იმავე პასუხს აძლევენ და მოთმინებიდან გამოჰყავთ. გოგიას გვერდით მჯდომი სანდრო ბუტბუტებს და ჰბორგავს. გოგიას კი არაფერი ესმის, კლასში რა ხდება: მისი ფიქრები თავს დასტრიალებს სახლში დარჩენილ წიგნს.

— აბა, გოგია, ეგებ შენ მითხრა ისეთი წინადადება, სადაც რამდენიმე შესმენილი ერთს და იმავე კითხვაზე მიუგებდეს? მიმართა მასწავლებელმა.

გოგია წამოდგა და გაჩუმებული გაშეშდა, თვალებს უაზროდ აცეცებდა აქეთ-იქით და შემკრთალი, თითქოს ჰფიქრობდა:

— რა უნდა ჩემგან? რა დავაშავე! მასწავლებელმა კითხვა განუმეორა,

— მაგან მარტო „ვეფხის-ტყაოსანი“ იცის! ბლუყუნით წამოიძახა სანდრომ.

— მართლა!—გიკვირვა მასწავლებელმა, „ვეფხის-ტყაოსნის“ ხსენებაზე გოგია გამოერკვა და უპასუხა:

— დიად! ზოგი-ერთი ლექსი ზეპირად ვიცი.

— მაშ მითხარი, როგორ ეგებებოდა ბუნება ავთანდილის სიმღერას მოგზაურობის დროს.

გოგიამ გაუბედავად დაიწყო:

რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი
 [მოვიდიან;

მისივე ყმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანიცა
 [გამოსხდიან,

ისმენდიან, გაჰკვირდიან, რა ატბორდის...
 [ატბორდიან...

— მშვენიერია; ყოჩაღ გოგია! სთქვა გახარებულმა მასწავლებელმა და შევირდებს მიუბრუნდა: აი, ამისთანა მაგალითი უნდა გეთქვათ!

ყველამ შურით შეხედა ქარხალივით გაწითლებულ გოგიას.

მასწავლებლის ქებით წახალისებულმა გოგიამ დაიფიცა: ხვალინდელი გაკვეთილი საუკეთესოდ მოემზადებინა.

— მე შენზე უკედ მოვამზადებ—უთხრა ბლუყუნით სანდრომ, როცა ქუჩაში გავიდენ და სახლისკენ გაემართენ.—მე სხვა ბიჭი ვარ!

— აბა ვნახოთ!—უპასუხა გოგიამ: მე დღეს წიგნებს აღარ წმვიკითხავ, გაკვეთილებს მოვუნდები.

— დღეში რამდენ ხანსა ჰკითხულობ?

— სანამ წიგნს გავათავებ!—განა მაგისთვისაც საათები უნდა დაინიშნოს?

— დიდაც! ბ-ნმა პეტრემ სთქვა: დროს განაწილება უნდაო

— ქართულად კითხულობ თუ რუსულად? შეაწყვეტია გოგიამ.

— რასაკვირველია რუსულად! ბა-ნნი პეტრე ყოველთვის მეუბნება, რომ ქართულს ცხოვრებაში ვერ გამოიყენებო, ურუსულად კი ფეხსაც ვერ გადასდგამ. დედაც ამ აზრისაა.

— მიინც რაში გინდა რუსული მოიხმარო?

— როგორთუ რაში! იწყინა სანდრომ: მამა ჩემმა რომ რუსული არ იცოდეს ხომ, სამსახურიდან დაითხოვენ.

— შენ თითქო ძალიან მოგწონდა ეს ლექსი!

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავე-
 ბისა ხეზედა,

არ გავსცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის
 სამოთხეზედა“

— მე ხომ ხევსური არა ვარ. სთქვა სანდრომ.

— მაშ უფნური თავუნა იქნები, გადაგვარება რომ ისურვა!



როცა გოგია ამხანაგს გამოეთხოვა გამო-
უკვეველი აზრები უტრიალებდა თავში:

— მე სანდროზე მალლა ვდგევარ, ფიქ-
რობდა ის, მაგრამ ის მჯობნის! ხვალ იმას
გაკვეთილი ეცოდინება, მე კი შეიძლება არ
ვიცოდე!

გოგია აივანზე მაგიდას უჯდა და გაკვე-
თილებს ამზადებდა:

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა,—
და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზე წამოიხარა.

იზებირებდა გოგია ლექსსა.
მაგრამ ბუნება მის წინააღმდეგ შეთქმულიყო:
გაზაფხულის ნელი ნიავე საამურად უღიჭინე
ბდა გოგიას, ლამპის შუქს ტურფად მოკაშკაშე
მთვარე აკრთობდა. ვარსკვლავების გუნდს
მოწმენდილ ცაზე ფერხული ჩაებათ, კეკლუცად
ციმციმებდენ და თითქოს ჰვალობდენ კიდევ...
მნათობთა საამური ხმა გოგიას ყურამდინ
სწვდებოდა, გოგია გატაცებით ისმენდა ციურ
ჰანგებს...

ლამის გუშაგი, მუდამ მქმუნავი
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.

განაგრძნობდა გოგია.

— ჩუ! მგონი ცხენის ხმაა: ზაქარა თუ
მიაქროლებს თავის ბედაურს კაკო ყაჩაღისკენ...

აგერ ცხადად ისმის ავთანდილის ძახილი.
დაკარგულ მოძმეს ეძებს!

ნიავე ლალად დაჰქროდა ბაღში და ფოთ-
ლებთან ბუტბუტებდა. ოცნებას გოგიასთვის
ხელი ჩაეჭიდა და მომხიბლველ მხარეს მიაფ-
რენდა.

ბოლოს ისწავლა გოგიამ გაკვეთილები და
დასაძინებლად დაწვა, მაგრამ ჩქარა კი ვერ
დაიძინა: მეორე ოთახში მისი დედა პატარა
ლექსოს ტკბილად უმღერდა გოგიას საყვა-
რელ სიმღერას:

„მასხოვს პირველად სასწავლებელში
წასაყვანად რომ მე მომამზადეს“...
გოგიას ეძინებოდა, მაგრამ ტკბილ სიმღე-

რას მაინც ყურს უდებდა: ბურანში ხელავდა
მტირალ ბაღს, რომელსაც საძაგელი ხალხი
ხელში გრამატიკას აჩეჩებდა და შორს სად-
ღაც ისტუმრებდა. ბავშვს არ უნდოდა მოშო-
რებოდა. სამშობლოს, დედას და მწარედ
სტიროდა. სხვები კი მხიარულად გზას ულო-
ცავდენ. ნეტავ რა უხაროდათ!.. მხოლოდ
დედა ანუგეშებდა მტირალ შვილს და არიგე-
ვებდა:

„მერწმუნე რომა გამოცდილია:

თუ სარძიკველი დანგრეულია
მაშინ კედლების აშენებისთვის
ყოველი შრომა დაკარგულია.

დედის სამური ხმა მისწყდა.

* * *

ჩაწითლებულის თვალებით იდგა გოგია
მასწავლებლის წინაშე და გაკვეთილს ამბობდა:
სამშობლოს ცახა ბნელად გაშლილი
წუხრის ძეწარი გადაეფარა.

დაიწყა მან და უმაღვე აირია, თვალწინ
მტირალი ბაღი დაუდგა სასწავლებელში რომ
ჰგზავნიდენ ხმის კანკალით განაგძო ლექსი და
სანდროსებურ ლულღულით დათავა.

— დაჯექი, უთხრა მასწავლებელმა, ლე-
ქსი ვერ გაგიკვეთნია.

— მე მკითხეთ! სთხოვა სანდრომ.

მასწავლებელმა ჰკითხა.

სანდროს ისე კარგად გაეზებირებინა
ლექსი, ისე მკაფიოდ ისროდა სიტყვებს, რომ
ლიყიანობას სწორედ ვერავენ დასწამებდა.

— სანდრო ჩემზე მალლა სდგას; ფიქ-
რობდა გულდაწყვეტილი გოგია იმან მაჯობა!..

6. წინამძღვრიშვილი.





* * *

(ვუძღვნი ა—ს ხსოვნას)

თავისუფლებავ, ვინ მოსთვლის მსხვერპლებს
შენთვის შეწირულს სახრჩობელაზე?
ან ციხეების კამერებშია
და ციმბირისა ფართო მინდვრებზე?...
—

ჰოი, ციმბირო, ოხ სახრჩობელავ!..
მუდმივო ბინავ ციხის „კამერავ“!
გულისა სწორნო, ამხანაგებო!..
დაობლებულო, სამშობლო კერავ!..
—

ჩამომავლობას ვთხოვთ მოაგონოთ
თუ რა ძვირათ ღირს თავისუფლება,
რომ დასდონ ფასი მას შესაფერი
და შეიყვარონ როგორც ღვთაება!

ქანაო.

თვითმკვლელობა მოსწავლეებში.

ამ უკანასკნელ ხანებში გაზუთებმა გამოაქვეყნეს
სტატისტიკა მოსწავლეთა თვითმკვლელობის შესახებ.
საუბედუროდ ამ ტრაგედიას ბოლო არ ედება და
გაზუთები თითქმის უოველდეუ ახალ-ახალ ამგვარ
მსხვერპლებზე მოგვიბრუნებენ, სძირად იგი ჩვენ
თვალ წინაც ბევრი ხდება და ღამისა ისე შევაჩვი-
ოთ უერთი რომ ეს საშიშარი რამ ჩვეულებრივ
მოვლენად ჩაითვალოს. ჯერ კიდევ ნორჩი ახალ-
გზდა საკუთარი ხელით სიცოცხლეს ისპობს და მით
ვინ იცის თუ რა განძს ართმევს მომავალში
საზოგადოებას, მაგალითად ავვისტოს ბოლო რიც-
ხვებში კარბოფრის სიმყავით თავის მოწამვლა
განიზრახს სასულიერო სემინარიის პირველ კლასის
მოწაფემ გ. ტ. მიუხედავად იმისა რომ იგი ჯერ
კიდევ სულ ახალგაზდაა. მის ლექსებს განცვიფრე-
ნაში მოჭყავს მკითხველი. თუ დღეს მას ამდენი
ძალა შესწევს, სრული იმედი უნდა ვიქნით, რომ
მომავალში უკეთესი დარჩება და ამისთანა უმაწვლილი,
რომ ბედნიერ შემთხვევას არა, წუთისათვის უნდა
გამოსაღებოდეს. რა არის მიზეზი? რა აიძულებს
ახალგაზდობას გამოესაღმოს ბედგრულ, მაგრამ იმავე
დროს ტკბილ სიცოცხლეს?

დღემანდელი. სასწავლებელი მარტო დღეს კი

არა, კაი ხანია რაც არსებულ პირობებშია, მარა
უწინდელთან შედარებით დღეს თვით მკვლელობა
ეპიდემიურ ხასიათს ეტყობის. თუ უწინ შედა-
რებით ძვირი მოვლენა იყო ამ გვარი მსხვერპლი,
ეს იმიტომ რომ, დღევანდელთან შედარებით, მამი-
სდელი განათლების უფრო დაბალ საფეხურზე მდგო-
მარე საზოგადოება ერთგვარათ ემავთვილდებოდა
და ძალა უხებურათ ურიგდებოდა არსებულ სკოლის
პირობებს, დღეს კი სულ სხვაა. როგორც ცხადრე-
ბა ძველ პირობებში ვერ თავსდება, ისე შექლის
პირობებიც აუტანელი შეიქნა მოსწავლეთათვის,
ადვილნი სულ სხვა ეპოქაში, სულ სხვა მისწრა-
ფებით და იდეალებით ადტურგინი, ვერ ეტყობან
დღემანდელ სკოლის პირობებს. დღევანდელი ახალ-
გაზდობა წარმომადგენელი ახლისა, ვერ ეტყობა
ძველის მცველს და წარმომადგენელს შეკლის მთავ-
რობას და მისთან ბრძოლაში ჯერ-ჯერობით დამარ-
ცხებული რჩება. სწორედ ეს უნდა ჩაითვალოს
მოსწავლეთა შორის თვითმკვლელობის უმთავრეს
მიზეზად.

ამას გარდა, ხშირად რომანტიულ ან პესიმისტურ
ნიადგზედანც ხდება ხოლმე თვითმკვლელობა. ასე
გაშინჯეთ ამ რამდენიმე დღის წინათ „ტ, ლ“
გადმობეჭდა ოდესელი გაზუთიდან, რომ ერთმა
5 კურსის სტუდენტმა და ერთმა ქალმა თავის
მოწამვლა გინიზრახეს „ОТЪ ИЗЛИШКА СЧАСТІЯ
— თ. უველაფერი კაი, მარა ეს უკანასკნელი რაღას
მივაწეროთ კი ადარ ვიცი. ჩემი აზრით უველა ეს
ისევე პოლიტიკური ცხადრების მიზეზი უნდა იყოს.
სამართლიანად შენიშნავს ერთი გამოჩენილი საზო-
გადო მოღვაწე: პოლიტიკურ რეაქციას სულიერი
რეაქციაც მოევა. საბრძოლო ჩვენი ცხადრება „ტუ-
ზიკს“ მიაწვდა. გასავალი გზა არსა სჩანს დამიტო-
მაც თვით მკვლელობამ და, ასე განიხილეთ
სანინიზმაც ამ სულიერ სიდატაკის დროს
ცხადრებაში ნიადგი იზოვა. მოიგონეთ ხანა განმა-
თავისუფლებელი მოძრაობისა, ვის ეტალა მაშინ ამ
გვარ რამეებზე თქმისთვის უველა ბრწინვალე
მომავლის თქმრიდ და მის მოსაზრებელ საშვალეობით
იყო გატაცებული. დღეს კი.

თვითმკვლელობა კიდევ გასამართლებელი იქნე-
ბოდა, რომ ჩვენის სიცოცხლის უფლებას მარტო
ჩვენ გვქონდეს. ჩვენი სიცოცხლე საზოგადოებასაც
ეუთვინის. ბრთხილათ თვარა მომავალი, ის მომავალი,
რომელიც მარტო ახალგაზდობაზე დამოკი დებული
საშიშარ მდგომარეობაშია.

ა. მინაშვილი

ხვამ სემინარიიდან.

სასწავლებელი, როგორც საზოგადოების აღმზრდელი დაწესებულებათაგანი, უნდა იყოს მკიდროდ დაკავშირებული ამ საზოგადოებასთან, ე. ი. სასწავლებელს საზოგადოების უნდა ესმოდეს და უკანასკნელს პირველის; სასწავლებელი უნდა იყოს საზოგადოების სულიერად მასაზრდოებელი და საზოგადოებაც თავის მხრივ, რითაც საჭიროა.

მაგრამ რას ვხედავთ თანამედროვედ სასწავლებელში ამის მაგიერ?—სრულ განშორებას, მათ შორის დღეს დიდი საზღვარია.

საზომადობამ დღეს სასწავლებლის არა იცის, არც სასწავლებელმა საზოგადოების. არც პირველი და არც მეორე ერთმანეთის ტკივილებს ვერ გროძნობენ და არ ესმით ერთი-მეორის კენესა.

განსაკუთრებით, ასეთი ტიპიურ სასწავლებლებს წარმოადგენენ ჩვენებური სასულიერო სასწავლებლები, რომლებში დღეს ისეთი ატმოსფეროა შექმნილი, რომ იქ მოსწავლე ახალგაზდობა ადრე თუ გვიან შესცურავს გარყვნილების მორევში. საზიზღარი სცენა წარმოადგებათ ავალწინ, როდესაც თვალს გადაავლებთ ზოგი ჩვენებურ სასწავლებლის ცხოვრებას ბავშვი, რომელიც 13—14 წლის ძლივსა იქნება ექსპროპრიატორობისათვის მიუმართავს ხელი, სქესობრივ ინსტიქტს შეუპყრია მისი გრძნობა-გონება, წიგნი კუთხეში მიუგდია და ჯოხით მასწავლებელს გამოჰკიდებია გასალახვად. რა ამბავია, რამ შეჰქმნა ასეთი ატმოსფერო ხსენებულ სასწავლებელში? აი რისი გამორკვევა და რის წინააღმდეგ უნებლიეთ ზომების მიღება შეადგენენ მოსწავლეთა მშობლების უმთავრეს გადასაწყვეტ საკითხს. ამისი გამორკვევა მით უფრო შესაძლოა და მით უფრო ადვილია, რამდენადაც გავითვალისწინებთ იმ ფაქტებს, რომელთაც ადგილი აქვთ ამ სასწავლებელში.

შესაძლოა ამ გათვალისწინებით და გამოაშკარავებით ბევრი რამ არ გაკეთდეს დღეს დღეობით სასწავლებლის საკეთილდღეოდ, მაგ-

რამ ამით მომავლისთვის მაინც მომზადება როგორიმე ნიადაგი და, შესაძლოა, ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს.

მაგალითისათვის ავიღებ ჩვენს ს. სემინარიას, საოაც შეგვიძლია მოგვევაროთ აუარებელი ფაქტები და ამით გარდავეუშალოთ სემინარიის სურათი მკითხველ—საზოგადოებას: ხემინარიის შევირდობა დღეს ორ მოწინააღმდეგე ბანაკადაა დაყოფილი. პირველ ბანაკს ეკუთვნის მთავრობის მფარველობის ქვეშ მყოფი ელემენტები, მეორეს კი ათვალისწინებული პირები. ამ ორ მოწინააღმდეგე ბანაკთა შორის ღრმა უფსკრულია; ძულვა და მტრობაა მათ შორის გამეფებული.

ახლა ვიკითხოთ, თუ როგორ ეპყრობა მთავრობა ერთი და მეორეს და თუ რა ზომამდე მიდის ასეთი მოპყრობით?—დასამტკიცებლად ამისა განვიხილოთ ის, თუ რა ჩაიდინა მთავრობამ ამ სამოსწავლო წლის დამდეგს და წარსულ სამოსწავლო წლის ბოლოს. აი, მაგალითად; ერთ მეორე კლასის მოწაფეს, რომელსაც წარსულ წლის განმავლობაში სწავლისათვის თავი არ აუცხელებია და მიუხედავად იმისა, რომ მან ამ მიზეზით წლიური ნიშნებში ოთხი ორი მიიღო (სამოქალაქო ისტორიაში, საღვთო წერილში, მათემატიკაში და რუსულ სიტყვიერებაში) და ეგზამენებში დაც ამ საგნებთაგანში ჩაიქრა, მაგრამ იგი დღეს მესამე კლასში ბრძანდება და სტიპენდიასაც იღებს (150 მან.). აქ უნდა დავუმატო კიდევ ის გარემოება, რომელმაც მოწაფეები მღელვარებაში მოიყვანა სახელდობრ: ამ ხვენებულ მთწაფეს ერთმა საეზამენო კომისიის წევრმა ბილეთი დაუნიშნა, რომელიც ააღელვა მთელი მოწაფეები, მაგრამ ამ აღელვებით ვერა გააწყეს.

ერთ მესამე კლასის მოწაფე თითქმის ყველა საკნებში (ლოლიკაში, რუსულ სიტყვიერებაში, სამოქალაქო ისტორიაში, ბერძნულს ენაში, ქართულ სიტყვიერებაში და მათემატიკური საგნებში) ეკსამენების დროს კატეგორიული უარი განუცხადა გაკვეთილის მიგებაზე, მაგრამ იგი მიუხედავად ამისა დღეს მეოთხე კლასში ბრძანება და სტიპენდიითა 150 მანათს იღებს.



ერთი მეორე კლასის მოწაფეს სემინარიის გამგეობის დადგენილებით დაენიშნა ხელმეორე გამოცდა სამოქალაქო ისტორიაში, მაგრამ იგი გამოსაცდელად არ ჩამობრძანებულა და ჩამოსვლისას, არც გამოუცდიათ და ისე—მესამე კლასში დააბრძანეს.

ახლა ვიკითხოთ, თუ როგორ ეპყრობა მთავრობა მეორე ბანაკს მოწაფეებს?—სემინარიაში ეგზამენებზე არ დაუშნეს რამდენიმე ათამდე მოწაფე, რადგანაც ორორ საგანში ორი მიიღეს წლიურ ნიშნებში: რამოდენიმე პირდაპირ გამოირიცხეს უბრალო რამ მიზეზისა გამო, რამოდენიმეს ეგზამენები ააღებინეს და თავის დოკუმენტებით სახლში გაამგზავრეს.

სხვაც ბევრი ასეთი ფაქტების მოყვანა შეეგვიძლია მაგრამ ყველასი სათითაოდ ჩამოთვლა შეუძლებელია, სემინარიის მთავრობის პოლიტიკის დასახასიათებლად ესეც საკმაოა.

გარდა ამისა, მოგვხსენებათ, რომ უქმე სემინარიელისათვის ტანჯვა-ვაების დღეა, მაგრამ „ზოგიერთისათვის“ კი ეს განცხრომის დღეა. იმ დროს, როდესაც მთელი მოწაფეები წყვეა-კრულვით იხსენიებენ თავიანთ დაბადების დღეს საყდრის შიგნით, მაშინ „ის ზოგიერთები ინსპექტორის ბინაზე ტახტზეა წამოწოლილი და მშვენიერის მუსიკის ხმით სულ და გულს იტკობენ; იმ დროს, როდესაც ბურსელები საღამოობით პანსიონს კედლებშია ჩამწყვდეული „ეს ზოგიერთები“ ფაეტონებით თეატრში მიბრძანდებიან ინსპექტორის ხარჯით, იმ, როდესაც ბურსელები მეცადინეობაში თავს იმტვრევენ და ამ მიზეზით ხმაურობისა გამო მათ ერთმანეთის არა ესმით, მაშინ „ის ზოგიერთები“ თავისუფლად მეცადინეობენ ინსპექტორის მიერ ცალკედ დამზადებულ ოთახში.

აა, ასეთი დამოკიდებულება არ ებობს ჩვენი სემინარიის მთავრობასა და მოწაფეებს შორის. და, რას ნიშნავს ერთი ჯურის მოწაფეების ამ რიკად დაახლოვება და მეორასადმი ასეთი სიძულვილი—ეს თვით მკითხველმა საზოგადოებამ განმარტოს და განსაჯოს. ეს კი იცოდეს მკითხველმა, რომ ეს ქორი არა, ეს

ცოცხალი ფაქტებია, თუ არ დაიჯერებთ გთხოვთ მიბრძანდეთ სემინარიის ახალს შენობაში და იქ კი კედელიც მოგითხოვს ამ ამბებს.

ამასთან უნდა დავუმატო, რომ ამ ორ მოწინააღმდეგე, ბანაკთა შორის ხსენებულ მიზეზებისა გამო უფსკრული თან და თან ღრმადდება, რამაც, შესაძლებელია, ბოლოს ცუდი ნაყოფი გამოიღოს. ამისათვის საჭიროა მშობლებმა და ნათესაებმა იზრუნონ რამე და იხსნან თავიანთი შვილები ასეთ განსაცდელ მდგომარეობისაგან.

„ისმინეთ სიტყვანნი ჩვენნი, რამეთუ მართალ არიან სათქმეველნი ჩვენნი“...

გემარცხენე,



ნაგრძნობი!

გამიღვართქაფდა სულთქმის დუდილი, სევდამ დამჯალდა... აკვნესდა სული; ფრთები შეეჭრა ლალს მისწრაფებას, გული განელდა ცეცხლმოდებული.

ჩანლდა წმიდა ტრფობის სახმილი, სიმი შემიწყდა ჩანგსა მკენესარეს; დუშმნის ნატყორცი გესლის ისარი, მიქეჯნის, მიღრღნის მკერდსა მღელვარეს.

სავალალებო ძაძა მასხია, მდულარეება გადმომჩქეფს ცხარე; იმედის ვარდსა ფურცლები სცვივა, ჩანთქმას მიპირობს ცივი სამარე.

სატრფოვ, მომკვლელო ჩემის გულისა, გამოიღვიძე... ძილი იკმარე; და მოქუშული ბედის ვარსკვლავი, გამიცისკროვნე, გამიმღიმარე!!

ბ. ფშაგელა.

* * *

მოწმენდილს ცასა გადაეთარა
გულ-შემსარავი შავი ღრუბელი!
სისინებს ქარი... გულის საკლავად
გამეფლა ირგვლივ წყვდიადი ბნელი...

მით ისარგებლეს ბნელმა ძალებმა
და ჩემი „სატროფა“ იგდეს მათ ხელში,
ხან აწამებენ, ხან ატირებენ...
ხან კალევ თოქსა უჭერენ ყელში.

ამის შემყურეს ამ დროს მე ბედ-კრულს
ტანჯული სული სევდით მეცვება...
მაგრამ მშვიდდები, რადგანაც მჯერა
რომ დილა ისევ — კვლავ გათენდება

ციხის — ზირკლია.

ფიქრები.

ხშირად მახდებს რომ ახალი საქმი, ახალი
აზრი საზოგადოების სხვა და სხვა წრეებში კრიტი-
კის მოელ კორიანტელს აუენებს. თუმცა არაერთი
სურვილი და თან შეიძლება არა გვაქს ჩვენი ზეტარა
საქმით ვინმე გავაგვირგოთ, მაგრამ მაინც გაუბო-
ვართ იმას, რასაც უბრალო ენაზე ცალმხრიობაზე
და ზრესაში კი „კრიტიკის სენით“ შეპურებას
ეძახან. ჩვენის აზრით, ზრესა ეოველთვის შორს
უნდა იდგეს ხსენებულ ცალმხრიობისაგან, რადგან
მეტის-მეტე ქებით ახალი საქმის დამწყობლებმა
ადვილი შესაძლებელია გადაჭარბებული წარმადგენს
იქონიონ თავის საკუთარ ძალებზე და აქედან კი
ცხადია — თუ რა მამაგალი დაურჩება ისეთ საქმეს,
რომელსაც სათავეში უდვას თავომშობებით გატა-
ცებულნი, კანდიდების სენით შეპურობილნი შევი-
რალა ადამიანები, სამაგიეროდ არც თუ უდიერი
კრიტიკა უშველის საქმეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ
ეოველივე მოვლენას აქვს თავისი დადებით და უარყოფ-
ითი მხარე ზრესაც ამ თვალსაზრისით აღჭურვილი, სრუ-

ლი ობიექტიური საზომით უნდა აღნიშნავდეს იმას, რაც
კარგი და მოსაწონია და უარყოფდეს — რაც ცუდი
და გამოუსადეგარია. განსაკუთრებით დამდუ-
შელი მნიშვნელობა აქვს „განმანადგურებელ“ კრიტი-
კას და ეს ისეთ საქმისთვის, რომელსაც სათავეში
ახლგაზდები უდვანან... მოსწავლე ახლგაზდობს
საზოგადოების ის ცოცხალი ნაწილია, რომელიც
განუწყვეტლივ ზრდა-კანვითარებას განიცდის;
რაც ჭკრ კიდევ გუშინ მისთვის წმინდათა-წმინდას
შეადგენდა, შეიძლება სვალ მხოლოდ წარსულის
მოსაგონარი განდეს; სამაგიეროდ ის არ კმაყოფი-
ვდება ახალი გამარჯვებით და მუდამ მდევარე,
ღვთაებრივი ცეცხლით ადგზნებული შორს იეურება:
აწმეოს იუვარებს, მომავალს უმღერის და ესე თაყია
წმინდა დანიშნულებას ემსახურება, არ შეკიდია ასე-
თი კანვითარების ზრცესი ზრცოკრესიულ მოვლე-
ნად არ ჩავთვალათ. შეიძლება ამ ზრცესში სხვა
და სხვა ექსცესებს; თუ გადაგვარების მსგავს მოვ-
ლნებს ქქენდეს ადგილი, მაგრამ ნუ გვავიწყდება,
რომ საზოგადოებრივი ცხოვრების კანვითარება
სრული მათემატიკური სისწორით არასოდეს არ
ემორჩილებოდა ერთ რომელიმე განსაზღვრულ კანონს,
ზირიქით; ეს გარემოება გვადლეკს ჩვენ დაუშრეტელ
წყაროს იმისას, თუ როგორ და რანაირად შესაძლე-
ბერი იქნება ასეთი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა.
მართლაც, თვალი გადავლეთ მოწათეთს უკანასკნელი
წლების ცხოვრებას და სრული სისწორით წარმო-
გიდგობთ ეველა ის „ჭირვეული“ კიოხგება, რომლე-
ბზედაც ერთხელ ასე თავს იმტრევედენ გამჩენილ
მწერლები თუ მოვლაწენი. სქესობრივი გრძობის
არა სსსრველ ფორმაში კანვითარება და მოწათეთს
მასსიური თვითმკვლელობა დესაც იზერობს საზო-
გადოების სალი ნაწილის ეურადლებას. ასე
წარმოადგინეთ, ოფიციალური მთავრობაც კი
დაინტერესდა ასეთი მოვლენების ნამდვილი საჩუ-
ლის გავებით. მაგრამ მძლეუთ-მძლე გამოდვა ამ შემთ-
ხვევაში მხოლოდ საზოგადოებრივი აზრი სიამოვნებით
შეგვიძლია შევნიშნათ, — თუ როგორი სისწრაფით ფრ-
თები ევეცეცება ახლგაზდათა იმ ღტოფვილებას, რომ
სალი აზროვნების მიერ უარყოფილ ფორმებში გამჩხ-
ტან თავისი ზირადი „მესაბსოლიუტური“ ნება. ეს
ნიშნობლივი მოვლენა ერთხელ კიდევ მოგვავრცენს,
რომ მოსწავლე ახლგაზდათა ზირშია შეილია
საზოგადოების, საზოგადოებრივი ცხოვრების. მხო-



ლად, როდესაც სქერბრივი გრძობის რეკვირის გამომხატველი ცნობილ „ლიტერატურულ ნაწარმებს“ შვიშენელთა ეკარგება, სჯიროს სხვაფერი შიდას, სულიერი შთახვენილობები, რომლებსაც შეიძლება უნდა იქნას მოსწავლე ახალგაზდობის საერთო ურადდება. ასეთ შთახვენილობათ შეიძლება ჩათვალთ ფრიად კადვიძეული ინტერესი მეცნიერულ კითხვებისადმი, თუ ლიტერატურის შესასწავლად, მეცნიერება და ლიტერატურა უფველთვის იყო და იქნება საფუძველი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა. ამასთან დარწმუნებული ვართ, რომ ვინც კი ერთხელ სინჯისით და ენერჯით დაეწავა ასეთს კითხვებს, არ შეიძლება ამავე დროს არ განიმსჯვალას იმ შესვლულით, რომ ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა სჯიროს, სანამ მეცნიერება ედინდებას საზოგადოებრივ სუფლებს. ლიტერატურის ხედარც არ არის უკეთესი. ის კიდევ უფრო, ვინემ მეცნიერება, ახლა სდგას რეალურ ცხოვრებისთან და ამიტომ ნამდვილი მსატრის კალმით დახატულ სურათმა არ შეიძლება მკითხველს არ შეუფაროს, ან არ შეაძულას ის ზირობები, რომლებშიც მას უხდება ცხოვრება. რასაკვირველია, ჩვენი სრული თანა გრძობა ასეთ მწერლებსკენ იქნება, რომლებიც მომავლის იმედით შექმურებენ და ერის სასიცოცხლო ძალთა განვითარების საქმეს თავიანთი მოღვაწეობის წმინდა დანიშნულებად აღვიარებენ.

წინ და წინ წარმოდგენილი გვაქვს ზოგიერთი „კაციონი ზედაგოგების“ წუწუნი იმის შესახებ, ვითომ მოწაფეები ასცდება კახეთის გამცემით თავიანთ ნამდვილ დანიშნულებას, მაგრამ არ გვაიწვევება ამავე დროს, რომ მოიხვედებიან მეორე ჯურის ზედაგოგები, რომლებიც კიდევ სულ სხვახარად უფურტდენ კითხვას. ეს გარემოება კი აორკეცებს ჩვენს იმედს, რომ შევსდებით და გზას გავაიფავთ დასახულ მიზნის მისაღწევად. თუმცა ვგრძობთ, რომ ნარეკლით არის მოცული დღევანდელი საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელი, მაგრამ მაინც აშკარად და კაბედულად ვიტყვი: არ გვწამს ერთი გაუიხული წერტილის გარშემო ტრიალი, ვერ გვაკმაყოფილებს არსებული და იმედით შექმურებთ მომავლს, გვეფარს აწმყო მობილი

წარსულისგან, რომელიც წარმოშობს აგრეთვე შიდავალს და ქართულ მოსწავლე ახალგაზდობასაც ჩვენი „ზირველი ნაბიჯის“ გამოსვლით ასეთ იდიალებსკენ მოუწოდებთ.


აკოზან.



გამოყანა.

აწ ესე ჩვენი შრომანი, სურვილით, გვიმრავლდებიან; მოყვარე დავგზობს, თუ მტერი, ორპირვე სულ წინ გვხდებიან! ვინც ამას გამოიცნობს, თუ რომელი წიგნიდან არის ამოღებული ეს ტაეპი, — გაეგზაუნება შარშანდელი №. № — ჟურ. „მოწაფისა“.

რედ. 3



განცხადება.

რედაციისაგან: უმორჩილესად ვთხოვთ პროვინციელ, თუ თბილელ მოსწავლეთ მოგვაწოდონ მასალები, სკოლის ცხოვრებიდან კორესპონდენციებით; ამის გარდა იკისრონ ჟურნალის ავენტობა და ხელი შეუწყონ მის გასაღებას, წერილები უსათუოდ მოკლედ და სუფთად უნხა იყვეს დაწერილი,

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველის წინაშე, რომ აწინდელი № ვერ გამოდის ისე, როგორც სასურველი იყო. შემდეგ ნომერში დაიბეჭდება კარიკატურები მოწაფის ცხოვრებიდან.

მოსამართი რედაქციისა: თბილისი, ვერა წარკითხვის სასახლა სამკითხველთ. გადაეცეს. სანდრას.

გამომცემელი კ. კახანაძე.